ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №7533616

ნომერი: AR11095969

თარიღი : 17.06.2025

გაცემის თარიღი : 27.06.2025

გაცნობის თარიღი : 30.06.2025

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ქინძმარაული , N 37 ; ქალაქი თბილისი , ქუჩა ქინძმარაული , N 37 ; ქალაქი თბილისი , ქუჩა ქინძმარაული , N 37 , (ნაკვ.15/058) ; ქალაქი თბილისი , ქინძმარაულის ქუჩა N37 ; ქალაქი თბილისი , ქუჩა ქინძმარაული , N 37 , (ნაკვ.15/056) ; ქალაქი თბილისი , ქუჩა ქინძმარაული , N 37 , (ნაკვ.15/059) ; ქალაქი თბილისი , ქუჩა ქინძმარაული , N 37 , (ნაკვ.15/061) ; ქალაქი თბილისი , ქუჩა ქინძმარაული , N 37 , (ნაკვ.15/054) ; ქალაქი თბილისი , ქუჩა ქინძმარაული , N 37 , (ნაკვეთი 15/050) ; ქალაქი თბილისი , ქუჩა ქინძმარაული;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ქეთევან ფანცულაია პ/ნ 01008010269
- თბილისი ი.ჭავჭავაძის გამზ. N 66 ბ. 5

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2025 წლის 2 აპრილის №7435234 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2025 წლის 17 ივნისის №AR11095969 განცხადებით მომართა ქეთევან ფანცულაიამ და მოითხოვა ამავე სამსახურის 2025 წლის 2 აპრილის №7435234 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2025 წლის 2 აპრილის №7435234 ბრძანებით N01.19.33.015.233 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე შეთანხმდა მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2025 წლის 2 აპრილიდან 2025 წლის 5 ივლისის ჩათვლით, კალენდარული გრაფიკის შესაბამისად.
განმცხადებლის განმარტებით სამსახურის 2025 წლის 2 აპრილის №7435234 ბრძანების ტექნიკურ ეკონომიკურ მაჩვენებლებში და გეგმებზე დაშვებულია ტექნიკური შეცდომა. კერძოდ, განაშენიანების ფართობი ფართობი 6127.8 კვ.მ-ის ნაცვლად უნდა იყოს 6461.8 კვ.მ. ასევე, მოთხოვნილია შეთანხმებულ გეგმებზე ტექნიკური შეცდომის გასწორება ფართობებთან დაკავშირებით.
სამსახურმა დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად დაადგინა, რომ მოთხოვნის დაკმაყოფილება შესაძლებელია. ამასთან, გეგმარება არ იცვლება, ხდება მხოლოდ გეგმებზე ფართობების გასწორება.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.
შესაბამისად, სამსახურმა მიზანშეწონილად ჩათვალა დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა და გაასწოროს ტექნიკური შეცდომა მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2025 წლის 2 აპრილის №7435234 ბრძანების ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში და:
1.1 განაშენიანების ფართობად დაფიქსირდეს: 6461.8 კვ.მ.
1.2 კ1 განაშენიანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობად დაფიქსირდეს: „კ1 განაშენიანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში): 6461.8/191135.0=0.1; 2899.2 (შენობა N1)+782.4 (შენობა N2)+297.7 (შენობა N3)+168.3 (შენობა N4)+1166 (შენობა N5)+13.5 (შენობა N6)+13.5 (შენობა N7)+4 (შენობა N8)+577.4 (შენობა N9) +342.3 (ღობე)+111.8 (საყრდენი კედელი)+85.7(სასწორი)=6461.8;
2. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2025 წლის 2 აპრილის №7435234 ბრძანებით შეთანხმებული გეგმები, გარდა გადახურვის გეგმებისა (მე-5, მე-8, მე-12 და მე-15 ფურცლები) ჩანაცვლდეს წინამდებარე განცხადებაზე, ფაილის მიმაგრების ველში წარმოდგენილი გასწორებული გეგმებით.
3. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2025 წლის 2 აპრილის №7435234 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
4. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2025 წლის 2 აპრილის №7435234 ბრძანებასთან ერთად.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.